პარასკევი, 12 მარტი 1904 წ. 1877 წელიწადი ოც-დამერვე 1904 პარასკევი, 12 მარტი 1904 წ.

**გაზეთის ფასი:**

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 | თვით | 10 მ. | — კ. |
| 11 | ,, | 9 ,, | 50 ,, |
| 10 | ,, | 8 ,, | 75 ,, |
| 9 | ,, | 8 ,, | — ,, |
| 8 | ,, | 7 ,, | 25 ,, |
| 7 | ,, | 6 ,, | 50 ,, |
| 6 | ,, | 6 ,, | — ,, |
| 5 | ,, | 5 ,, | 50 ,, |
| 4 | ,, | 4 ,, | 75 ,, |
| 3 | ,, | 3 ,, | 50 ,, |
| 2 | ,, | 2 ,, | 75 ,, |
| 1 | ,, | 1 ,, | 50 ,, |

# ივერია

№ 65 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 65

**წლიურის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა**

1. ხელის მოწერის დროს—5 მ. და თიბათვის 1 ს—5 მ.
2. ხელის მოწერის დროს—4 მ., მარტის 1-ს—3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.
3. ხელის მოწერის დროს—3 მ, მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1 ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.

**როინაშვილისეული ფოტოგრაფია.**

1903 წლის პირველ ღვინობისთვიდამ „ქ. შ. წერა-კითხვის გამავ. საზოგადოების

## ფოტოგრაფია

როინაშვილისეული (ერევნის მოედანი, ხარაზოვის სახლი),

## იჯარით ავიღე

და სრულიად ახლად მოვაწყე იარაღით და მომუშავე ხალხით.

ფოტოგრაფია შეასრულებს შემდეგს საქმეებს:

1) გადაიღებს ყოველ ზომის პორტრეტებს;

2) გაადიდებს ძველ თუ ახალ სურათებს;

3) ვინც ერთ დუჟინზე არა ნაკლებ კაბინეტის სურათს შემოუკვეთს ჩემს ფოტოგრაფიას, **მეცამეტე სურათი, მიეცემა მ უ ქ თ ა დ** აკვარელით (ფერადებით) **საუცხოვოდ დახატული.**

4) გარდა ამისა, ფოტოგრაფიას მრავლად აქვს გასასყიდად სურათები ძველის ნაშთებისა, ინახებისა და საზოგადო მოღვაწეთა სურათები.

ყოველ შეკვეთილს საქმეს ფოტოგრაფია შეასრულებს თავის დროზე, კარგად და ზომიერ ფასად.

მოსწავლეთ ფოტოგრაფია დაიღებს დაკლებულ ფასად.

პატივის ცემით მოიჯარადრე მხატვარი **ტარასი სიმონის მე მომცელაძე.**

**კახეთის მევენახეთა საზოგადოება**

## „კახეთი"

აუწყებს პატივცემულ საზოგადოებას, რომ ამხანაგობის წევრთა 1903 წლის ღვინის კარგი მოსავლის გამო, დამფასებელი კომისიის გამოანგარიშებით, საზოგადოება 15 მარტიდგან დაიწყებს გაყიდვას ტფილისის ხელ-მოკლე მცხოვრებთათვის ღვინოს 20 კაპ. ბოთლს.

ყველა აღნიშნულ პრეისკურანტში ნომრიან ღვინოზედაც ფასები დაკლებულია. დაკლებული ფასი აღნიშნულია ეტიკეტზედ და გაიყიდება ამ ფასად ხელმოკლე მუშტრისათვის,

**უმთავრესი საწყობი** საზოგადოებისა იმყოფება ერევნის მოედანზედ, თამამშევების ქარვასლაში.

**განყოფილება**—მიხაილოვის ქუჩაზედ, სლივიცკის სახლებში.

მყიდველთ შეუძლიანთ მოითხოვონ აღნიშნულ საზოგადოების ღვინო ყველა საბაკალეო მაღაზიებში.

(3—59—1).



**ცირკი ძმ. ნიკიტინების**

პარასკევს, 12 მარტს,

გაიმართება კავკასიური

## ჭიდაობა

იჭიდავებენ: ცნობილი კავკასიელი მოჭიდავე **ცერაძე** ცნობილ მოჭიდავე **ჯიბგირთან.** წაგქცევს მიეცემა 25 მ.

ვადა არ არის დანიშნული. ჭიდაობა შესდგება წარმოდგენის მეორე განყოფილების ბოლოში. დასასრულ, გაიმართება ბალეტი-პანტომიმა. დაწვრილებითი ცნობები პროგრამაშია.

**დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზედ.** (1—61—1).

იმერეთის საგუბერნიო სათავად-აზნაურო საკრებულონი შეერთდნენ ომში დაჭრილთა, მოკლულთა და მათ ოჯახთა დასახმარებლად. ამ აზრით გამართულ იქმნა საყოველთაო, წოდება-განურჩეველი ხელის მოწერა შემოწირულებათა მისაღებად. შემოწირულება მიიღება ფულად და ნივთებად. საქმის მოწყობა მიენდო მთავარ-კომიტეტს მოსკოვში. კომიტეტის თავმჯდომარედ არის მოსკოვის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავადი პ. ნ. ტრუბეცკოი. კომიტეტში მონაწილეობას იღებენ ნდობამოსილნი კაცნი, ამორჩეულნი თითოეულ გუბერნიის თავად-აზნაურობის-მიერ.

ტფილისის გუბერნიის სათავად-აზნაურო საკრებულომაც გადასდო ამ საქმისათვის უკვე ცნობილი რაოდენობა ფულისა და ჰზრუნავს ახლა, შოამზადოს ისეთი ნივთები, რომელიც საჭიროა ქსენონთა და სამხედრო სამკურნალოთათვის.

ნება-ყოფლობითის შემოწირულებათა მისაღებად და დასამზადებელ ნივთთა მასალის შესაძენად შედგენილ იქმნა კომიტეტი გენერალ-მაიორის თ-დის ივანე სულხანის-ძის ჭავჭავაძის თავმჯდომარეობით. წევრად იქმნენ არჩეულნი: თ-დი ლევ. გ. ჯანდიერი, გენერალ-მაიორი ქრ. ი. მამაცაშვილი, გ. ს. განძიელი და დ. ზ. სარაჯიშვილი.

იმ ქალებს, რომლებსაც სურვილი აქვთ ნივთების დამზადებაში პირადის შრომით მონაწილეობა მიიღონ, სთხოვენ მიჰმართონ ქალთა კომიტეტის სახელოსნოს (გრიბოედოვის ქუჩა, სახლი კნ. ქობულაშვილისა) დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე.

შეწირულებანი მიიღება მხოლოდ თავმჯდომარის და კომიტეტის წევრთა მიერ.

თავმჯდომარე კომიტეტისა, თ. ივანე სულხანის ძე ჭავჭავაძე, მიიღებს შემოწირულებასა და იმათაც, ვისაც მასთან საქმე ექნება, ყოველ-დღე 10—12 საათამდე თავის სახლში, ხოლო სამშაბათობით, ხუთშაბითობით დ კვირაობით—დეპუტატთა საკრებულოში 1—2 საათამდე.

თ. ლ. გ. ჯანდიერი მიიღებს ყოველდღე 10—3 საათამდე თავის სახლში, ხოლო სამშაბათობით, ხუთშაბათობითა დ კვირაობით—დეპუტატთა საკრებულოში 1—2 საათამდე.

გენერალ-მაიორი ქრ. ი. მამაცაშვილი მიიღებს ყოველ დღე 10 3 საათამდე ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკში, ხოლო სამშაბათობითა, ხუთშაბათობითა და კვირაობით დეპუტატთა საკრებულოში 1—2 საათამდე.

გ. ს. განძიელი მიიღებს ყოველ-დღე 10—3 საათამდე სამეურნეო ბანკში, ხოლო სამშაბათობითა, ხუთშაბათობითა და კვირაობით—დეპუტატთა საკრებულოში 1–2 საათამდე.

დ. ზ. სარაჯიშვილი მიიღებს ყოველდღე 10—3 საათამდე თავის კანტორაში (ოლგის ქუჩა), ხოლო სამშაბათობითა, ხუთშაბათობითა და კვირაობით—დეპუტატთა საკრებულოში 1–2 საათამდე.

(30—6.—12).

გამოვიდა და ისყიდება „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" წიგნის მაღაზიაში

**ჩემი თავგადასავალი.**

აკაკისა

ფასი 1 მანათი.

**სახალხო წარმოდგენა დაკლებულის ფასებით**

**სადიდმარხვო სეზონი**

ტელეფონი № 617.

## ქართული თეატრი

შაბათს, 13 მარტს 1904 წ.,

ქართველ მსახიობთა ამხანაგ. მიერ წარმოდგენილი იქნება,

**ძლიერ დაკლებულის ფასებით,**

ცნობილი პიესა თავ. ალ. სუმბათაშვილისა

I

## ღალატი

დრამა-ლეგენდა 5 მოქ. თავ. სუმბათაშვილის, თარ. გრ. ყიფშიძის-მიერ.

უმთავრეს როლებს შეასრულებენ: ქ-ნნი ნ. გაბუნია--ცაგარლისა, ა. კარგარეთელი, მდივანი; ბ-ნნი ვ. აბაშიძე, გ. ყიფიანი, კ. შათირიშვილი, სვიმონიძე, გედევანოვი, გუნია და სხვანი.

ადგილების ფასი: ლოჟები 4 მ.-დან 7 მ.-მდე, პარტერი 40 კ.-დან 1 მ. 50 კ.-მდე ამფითეატრი 40 კ.-დან 90 კ.-მდე გალერეია 20 კ.-დან 35 კ.-მდე, შეგირდებისათვის 40 კაპ.

დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზედ.

მზადდება წარმოსადგენად «სხვის ნაოხარზე», „ბორკილი".

ამხ. გამგე **ვალ. გუნია.**

**არტისტიული საზოგად. თეატრი.**

**კვირას, 14 მარტს 1904 წელს,**

ქართულ დრამატ. დასის არტისტების მიერ ქ-ნთ საფაროვ-აბაშიძის, ე. მესხის, ნ. ჩხეიძის; ბ-ნთ ვლ. ალექსი-მესხიშვილის, კ. მესხის, მ. ქორიძისა და სხვათა მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება თ. სუმბათაშვილის ცნობილი პიესა

## ღალატი

დრამატიული ლეგენდა 5 მოქ., თარგ. კ. მესხისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ. საფაროვ-აბაშიძისა, ე. მესხი, ნ. ჩხეიძე, ნ. დავითაშვილი, ნებიერიძისა. ბნნი: ვლ. ალექსი-მესხიშვილი, კ. მესხი, ქორიძე, იმედაშვილი, ივანიძე, ადამიძე, საფაროვი, იორდანაშვილი, სარჯველაძე, ბაქრაძე, მატარაძე, გვარაძე და სხ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ბილეთები ისყიდება არტისტიულ თეატრის კასაში,

გამგე ა. იმედაშვილი

რეჟისორი ვლ. ალექსი-მესხიშვილი.

**ტფილისის სახაზინო თეატრი**

**რუსული ოპერა**

ანტრეპრიზა მისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.

**პარასკევს, 12 მარტს 1904 წელს,**

ა. მ. ბრაგინის მონაწილეობით, წარმოდგენილი იქნება

## ფაუსტი

ოპერა 5 მოქმ., მუსიკა გუნოსი

მეფისტოფელის პარტიას შეასრულებს ბარიტონი ა. მ. ბრაგინი.

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: ბობროვა-პფეიფერი, სტეფანოვიჩი, ლელინა; ბ-ნნი ბრაგინი, კარეევინი, თულაშვილი, გავრილოვი.

რეჟისორი ა. დ. ბედსკი

კაპელმეისტერი ე. დ. ესპოზიტო

დასაწყისი საღამოს 8 საათ.

**ანონსი:** შაბათს, 13 მარტს, «გალა» წარმოდგენაა. საიმპ. თეატ. არტისტის ა. მ. დავიდოვის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება «სამსონი და დალილა», ოპერა 3 მოქმედ., მუსიკა სენ-სანსისა.

კვირას, 14 მარტს, ბენეფისი და გამოსათხოვარი წარმოდგენაა საიმპ თეატრ. არტისტის ა. მ. დავიდოვისა წარმდგენილი იქნება: 1) «პაიაცები», ოპერა 2 მოქმ., მუსიკა ლეონკავალოსი; 2) «ჰამლეტი», ოპერა 5 მოქმ., მუსიკა ტომასი (ითამაშებენ მე-2-სა და მე-5 მოქმედებას).

დიდმარხვის მეექვსე კვირაში ბენეფისები იქნება მისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა და არტისტის ო. ი. კამიონსკისა.

ბილეთები იყიდება.

**ქართველნი მკურნალნი:**

**გედევანიშვილი მიხეილ,**—ყორღანოვის ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. საღამოს 6—7 საათამდე.

**ბძელიშვილი კონსტანტინე** ელის ბედის ქუჩა. სახლი მილოვისა. № 5

**ბაბაშვილი გრიგოლ,**—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

**ვაჩაძე სპირიდონ.** პეტერბურგის ქუჩა საკუთარი სახლი.

**დიასამიძე ალექსანდრე**—მიხეილოვის პროსპექტი, № 123.

**მარიამ ნიკოლოზის ასული ზაალიშვილისა,** ელისაბედის ქუჩა, № 41.

## პირველი კერძო სამკურნალო

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დ ი ლ ა ო ბ ი თ:**

**უ. მ. ჩიქოვანი.** 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა. შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

**მ. ზ. ავეტისიანცი.** 11—12 საათამდე—კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

**ი. ბაბანასოვი.** დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთ ავადმყოფობანი.

**კ. ი. ბძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისაა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

**გ. ა. თარხანოვი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**გ. სოლოღაშვილი.** 9—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

**ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:**

**ნ. ნ. როსტომბეგოვი.** 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია

**გ. ს.ე ლვი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. ზჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

**გ. ა. თარხანოვი.** $7^1/_2$—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

**ს. ტ. არვანიტაკი.** 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟს, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი **კ. ბძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана.* Тифлисъ противъ памяти. Воронцова.

წლ.

## კერძო სამკურნალო

**ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა**

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9 მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

**ტელეფონი № 274.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

**დ ი ლ ი თ:**

**ვ. ი. ჟიჟინაძე.** კბილის სნეულებანი 8 საათიდგან 10 საათამდე.

**ა. ნ. დიასამიძე.** 11—12 საათ.

**ნ. ტ. მულინი**—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 9—10 ს.

**ა. ზ. მაღალაშვილი.** შინაგ. და ბავშ. 10—11 ს.

**ვ. დ. ლამბაშიძე.** შინაგ. და ბავშვ. ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 11—12 საათ.

**ლ. მ. მონინი.** ქალის., საბებ. და ბავშვ. (შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა 11—12 ს.

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ექიმი ქალი **მ. კ. იოსელიანი**—ქალისა და საბებიო 12—1 ს. სამშ. ხუთშ. შაბათ.

**ზრ. ვ. სოგოლევსკი**—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

**ვ. მ. მანსვეტოვი**—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—კვირაობით 10—12 საათ.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ა ზ. მაღალაშვილი.** შინაგ. ბავშ. ყვავილის აცრა და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით.

(წ.)

46—8 ტელეფონი № 274

## ომის ამბები

**დეპეშები და წერილები.**

იაპონელების ომის გეგმა.—ხუნხუზები.—ადმირალ ალექსეევის ბრძანება.—წერილი აზავი.—ხარბინი.

გაზეთი «სტანდარდი» ასეთ რჩევას აძლევს იაპონელებს, თანხმად ერთის სპეციალისტის აზრისა:

პორტ-არტური რომ განცალკევებულ იქმნება,—ეს უეჭველია. ეს თვით რუსებსაც შესაძლოდ მიაჩნიათ. პორტ არტურის აღება დიდად შეარყევს რუსეთის ძლიერების სახელს. ამის გამო და იმიტომაც კიდევ, რომ რუსებს მკვიდრი ნადავი წაერთმევათ, რომელიც ზღვაზე გასასვლელ გზას შეუკრავს, რუსები უკანასკნელ სისხლის წვეთს ჩაანთხევენ პორტ არტურში, როგორც ეს სტესსელმა უკვე გვაუწყა. გაჰბედავენ თუ არა იაპონელები იერიშის მიტანას,—ამას მომავალი გამოაჩენს. იქნება-კი იმას დასჯერდეს, რომ ალყა შემოარტყან და უვნებელ ჰყონ, რადგან, ადრე თუ გვიან, სულ ერთია, ეს ციხე იაპონელებს უნდა დამორჩილდეს.

იაპონელების სამხედრო საბჭომ, უეჭველია იცის, რომ პორტ-არტურის აღებასა და ლიაოდუნის ნახევარ-კუნძულის დაპყრობას დიდი მნიშვნელობა ექმნება ომის შედეგზედ: ხოლო ამით ომს ბოლო არ მოეღება, არამედ კიდევ დიდი გასაჭირი მოელით იაპონელებს ომის გასაგრძელებლად, რადგან წინსვლით თავიანთ სამყაროს დაშორდებიან და წინ-კი მარად გახახლებული რუსის ჯარი დახვდება; რაც უფრო შიგნით წაიწევს მანჯურიაში, რუსეთს ხომ ულეველი ძალა აქვს, რომელიც თანდათან ყოველ მხრიდგან თავს მოუყრის.

ვიდრე რუსები სუსტობენ და ცოტანი არიან, იაპონიამ უნდა გაიჭიროს და ეხლავე დაამარცხოს. დრო არ უნდა დაჰკარგონ და არ უნდა ავიწყდებოდეთ, რომ სასტიკი ომი მუკდენთან უნდა მოხდეს.

იაპონელებმა რომ მოახერხონ და თვისი ძალლონე გამოიჩინონ, აი ეს იქმნებოდა კარგი გამარჯვება. რუსის ჯარი ხარბინის სამხრეთით განსაცდელში ჩავარდებოდა. მაშინ განმეორდებოდა სედანის ამბავი და ვლადივოსტოკიც დაეცემოდა,

ზღვაზე იაპონელებს ყველაფერი შეუძლიან: გადასხან ჯარი პოსიეტის ნავთსადგურთან ან სხვაგან სადმე კორეის ნაპირას აღმოსავლეთით. იმათ კარგად იციან ეს მხარე; ხუნჩუნამდე მისულა კიდეც მათი ჯარი, როგორც ამბობენ; ასე რომ, ადვილად შეუძლიანთ ვლადივოსტოკის რკინის გზა გადასჭრან.

პოსიეტის ნავთსადგურიდგან ტუმენის ხეობაზე ადვილად გაივლის ჯარი, თუმცა მთა ადგილია და ტყეებით არის მოცული.

თუ რომ იაპონელებმა განიზრახეს აღმოსავლეთიდგან დაეცნენ რუსეთის ჯარის მთავარ ბანაკს, მაშინ მათს მოძრაობას კორეაში და ლიაოტუნგზე გადასვლას მეცადინეობას ის აზრი უნდა ჰქონდეს, რომ რუსები სამხრეთისაკენ გაჩერდნენ. თუ რომ იაპონიას იმდენი ღონე არა აქვს, რომ ხარბინამდე მთელი მხარე დაი-

ჰირონ, მაშინ ეცდებიან სამხრეთით საუკეთესო ადგილი დაიჭირონ, რუსები მუკდენისაკენ გადარეკონ და პორტ-არტური დაიპყრონ. («მოსკ. ვედ.»).

—

თავს დაიჭერენ ხუნხუზები ამ ომიანობის დროს, თუ რკინის გზის გასწვრივ ინავარდებენ, როგორც წინად,—ამაზედ ჯერ არა ითქმის-რა. ვიდრე ყინვა-სიცივეა ჩრდილოეთ მანჯურიაში, ხუნხუზებიც ძალაუნებურად მშვიდად უნდა იყვნენ. შემდეგ-კი, მეტადრე როცა ფეტვის მინაგვარი მცენარე გაოლიანი ამოვა და ტანს აიყრის, ხუნხუზების დაწყნარება ძნელია. ეს მცენარე ისე მაღალია, რომ შიგ კაცი დაიმალება. ხუნხუზებს თავსაფარი ექმნებათ, ჩუმად დაეცემიან რუსების სადგურებს, აიკლებენ და ნადავლით გიაოლიანში მიიმალებიან,—წადი დაუძებე. აჯანყება ჩინეთში ყოველთვის ამ დროს იწყებოდა, შესაძლოა, ეხლაც ასე მოხდეს. («რ ს.»).

—

ჩინეთის ნეიტრალიტეტი არავის სჯერა და ვისი იმედი აქვს იაპონიას, არავინ იცის. ეხლახან ახალი რუკა გამოსულა იაპონიის იმპერიისა, რომელშიაც მოთავსებულია ეხლანდელი ჩინეთი, ინგლისის ინდოეთი, თიბეთი, მთლად ციმბირი, შუააზია, სპარსეთი, აზიის ნაწილი ოსმალეთისა და კავკასია. რუსეთს დაეთმობა მხოლოდ ევროპის ნაწილი ურალის ქედამდე; დანარჩენი სულ იაპონიისაა. ევროპიელები გამოძევებულ იქმნებიან აზიიდგანაო. («რუს. ვედ.»).

—

ადმირალ ალექსეევს შემდეგი ბრძანება გამოუცია: «რადგან ომიანობა დაიწყო, მე კვალად ვიმეორებ ჩემს მოთხოვნილებას, რომ დაბალი ჯარის-კაცები არამც და არამც არ შეეხონ ადგილობრივ მცხოვრებთა საკუთრებას და სასტიკად არავის მოეპყრან. წინადვე ვაცხადებ, რომ მე დამნაშავეთ სასტიკად დავსჯი და მახლობელ უფროსებს უყურადღებობისათვის სამსახურიდგან დავითხოვ. სალდათების ცუდი მოპყრობა ხალხთან დისციპლინასაც არღვევს და ჩვენ-კი ამ დროს დიდი ვალი გვაძევს რუსეთის დიდებისა და სარგებლობისათვის,—შევებათ ძლიერს მტერს, რომლის დამარცხებასაც მხოლოდ მაშინ შევიძლებთ, თუ რომ ჩვენი ჯარი ზნეობრივად მაღლა იდგება და დისციპლინა მტკიცედ იქმნება დაცული. ამისათვის, ყოველი უფროსი, რომელსაც თავის ხელქვეით ჯარში სასტიკი დისციპლინის დაცვა არ შეუძლიან, დამნაშავე იქმნება დიდის მოვალეობის დარღვევაში წინაშე მეფისა და სამშობლოისა. ეს ბრძანება წაეკითხოს ყველა რაზმს, ესკადრონს, ასეულს, ბატარეასა და მეზღვაურთა რაზმებს. («რ. ვედ.»).

—

იაპონიის აფიცრები დაბალ ჯარის-კაცებს რომ აბინავებენ კორეაში, თან დარიგებას უკითხავენ, რომ ზრდილობიანად და თავდაჭერით მოეპყრან ადგილობრივ მცხოვრებ უცხოელთ. ყოველი დამრღვევი ამ წესისა, სასტიკად იქმნება დასჯილი. მართლა და, იაპონელთა ჯარს ისე უჭირავს თავი, რომ მეტიც არ მოეთხოვებათო,—ამბობს ერთი ინგლისელი კორესპონდენტი. («პ. ვ.»).

—

პეტერბურგიდგან საუცხოვო ცნობებსა ჰგზავნიან საზღვარ-გარედ. 1 მარტს კორესპონდენტი სწერდა «ნ.-ი. ჰ.»-ს: ერთის კვირის შემდეგ, პეტერბურგში ომიანობის წეს-წყობილების დებულება უნდა შემოიღონ, რადგან გემთა მიმოსვლა გახშირდება და თოფ-იარაღის გაგზავნ-გამოგზავნას შეუდგებიან და ამ დროს არ უნდათ, რომ ზოგი უცხოელთაგანი დაესწროსო (ინგლისის ჯაშუშები). ბალტიის ზღვის ნაპირებს ამაგრებენ, გაცხარებული მუშაობაა რეველში. წყალ-ქვეშ მავალი ნავები დაშალეს და რკინის გზით გაგზავნეს პორტ-არტურსაო. («პ. ვ.»).

—

უცხოეთის გაზეთები იუწყებიან, ვითომც «რეტვიზანიდგანა» და «ცესარევიჩიდგან» ზოგი ზარბაზანი პორტ-არტურის ციხეზე გადაიტანეს და გოლუბინის ნავთსადგურს დაუმიზნეს, სადაც 26 თებერვალს იაპონიის სამხედრო გემები იმალებოდნენ, რომ ციხიდგან ყუმბარები არ მოხვედროდათ. («რ. ვ.»).

—

პორტ-არტურიდგან პეტერბურგს მისულა «რეტვიზანის» კაპიტანის ჩენსნოვიჩის მეუღლე და ერთის გაზეთის თანამშრომლისათვის, სხვათა შორის, უთქვამს: იაპონელების გემების თავდასხმის დროს, ორთავ მხარეს ზარბაზნები ისე გრგვინავდა, რომ ჩემი ქმარი სრულიად დაყრუვდაო. ამ გემზედ დიდი ხანია ერთი ძაღლი ჰყავთ, რომელიც ზარბაზნების გრიალს შეჩვეულია, და ისიც კი დაყრუვდაო. («რ. ვ.»).

—

კორეის იმპერატორი ამერიკელების სიძე ყოფილა და სწორედ ამითი აიხსნება, რომ ამერიკელებს დიდი ხმა აქვთ კორეაში. იმპერატორს შეურთავს მისიონერის ქალი, რომელიც ფილადელფიიდგან გადასახლებულა კორეაში, ქრისტიანობის საქადაგებლად. ამ ცოლის გარდა, კორეის იმპერატორს მთელი ჰარამხანა აქვს უმცროს ცოლებისა. ერთი კალიფორნიელი სოვდაგარი მთავარ ვეზირად ჰყავს კორეის მეფეს. ამ სოვდაგრის შემწეობით, მრავალი ამერიკელი დაუახლოვდა კორეას და, როგორც ვაჭრობას, ისე მრეწველობას ხელი შეუწყო. ერთმა ამერიკელთა ამხანაგობამ კონცესია აიღო ოქროს მადნებისა, მეორემ—რკინის გზის გაყვანისა ჩემულპოსა და სეულს შორის, მესამემ—ტრამვაისა სეულში და სხვა. («პ. ვ.»).

—

გაზეთები იუწყებოდნენ,—იაპონელებმა ჯარი ცინაპოშიც გადაიყვანესო. ეხლა-კი «ნ-ფ-პ.»-ს. კორესპონდენტი იწერება, მდინარე ტაიდოგანგი, რომელზედაც ცინამპო არის, გემთა სავლელად არ ვარგაო. 1886 წელს იქ ამერიკის ერთი გემი დაიღუპა, რომელსაც ცინამპოში უნდოდა შესვლაო. ამისათვის, ტყუილი უნდა იყოს ის ამბავი, ვითომც ცინაპოში იაპონელებმა ჯარი გადაიყვანეს თორმეტის გემითო. («ნოვ.»).

—

ხარბინი.

ამ ჟამად დიდი ყურადღება მიიქცია ქ. ხარბინმა, რომელიც მთავარი ბანაკია რუსეთის ჯარისა. ამ ქალაქს მისი მდებარეობა კარგს მომავალს უქადის. აქ უერთდება ერთმანეთს რკინის გზები რუსეთისა, ვლადივოსტოკისა და პორტ-არტურისა. ამას გარდა, აქვე არის მდინარე სუნგარი, რომელზედაც ხარბინიდგან სამხრეთით 200 მილის მანძილზე გემები დადიან; ეს მდინარე ხარბინზე მიდის და ჩრდილოეთით მდინარე ამურს ერთვის; შვიდის თვის განმავლობაში სანგური არ იყინება.

როდესაც რუსეთმა დაიჭირა ეს ქალაქი,—ამბობს «დეილ. ნიუსი»,—მაშინათვე გადაწყვეტილი იყო, რომ აქ დაარსდება საკუთრად რუსების დიდი ქალაქი, და ასეც მოხდა. ხარბინს ეხლა «შორეულაღმოსავლეთის მოსკოვს» უწოდებენ. ვაჭრობა, აღებ-მიცემობა და მრეწველობა სულ რუსების ხელთ არის. ცოტაოდენი მონაწილეობა ჩინელებსაცა აქვთ. მიწა ქალაქსა მისს გარშემო რუსეთ-ჩინეთის მონოპოლიას შეადგენს. უცხოელთ არ შეუძლიანთ შეიძინონ ადგილი, საკუთრება იქონიონ და სამუდამო სავაჭრო ან სამრეწველო დაწესებულება დააარსონ.

1901 წელს აქ რუსების რიცხვი 1?,000 არ აღემატებოდა; 1903 წელს-კი მაისში 44,000 ასული იყო; შარშან, ოქტომბერში, 60,000 იყო, ჯარის-კაცებს გარდა, უცხოელები მხოლოდ 700 ყოფილა. ჩინელებს ცალკე უბანი აქვთ, სადაც 40,000 სული სცხოვრობს.

თუმცა ხარბინში სუსხიანი ყინვები იცის, მაგრამ დედაკაცებს ეს არ აშინებს თურმე და მცხოვრებთა შორის ერთ მესამედს ისინი შეადგენენ.

ქალაქში დიდებულის არქიტექტურის ტაძარია, დიდი სადგური, მშვენიერი სასახლე ბანკისა, სამხედრო საავადმყოფოები, მრავალი შენობა სახელმწიფო დაწესებულებისა, კომერციულ სასწავლებლისა და დედათა გიმნაზიისა. ქალაქში ელექტრონის ტრამვაია გაყვანილი და ელექტრონითვეა გაჩირაღდნებული. ამას გარდა, ავტომობილებიც მრავლად დარბის.

უცხოელთა ვაჭრობა ძალიან შევიწროვებულია; ბაჟი მეტად დიდია და ბანკი დახმარებას არ უწევს; უცხოელთ არ შეუძლიანთ კანტორა და საქონლის საწყობი იქონიონ. ამ რიგად, უცხოელთა ვაჭრობა თითქმის სულ განდევილია მანჯურიიდგან.

უმთავრესი დარგი მრეწველობისა და აღებ-მიცემობისა ხარბინში წისქვილებია. აქ არის 10 დიდი საუკეთესოდ მოწყობილი წისქვილი ევროპიულ და ამერიკულ სისტემისა. ყოველ დღე იფქვის ერთი მილიონი გირვანქა ხორბალი. არის აგრეთვე აგურხანები, არყის სახდელი, მარილის გამომხარშველი და სხვა ქარხნები. მრავლად ამზადებენ ვიჩინას, ქონსა და ამარილებენ საქონლის ხორცს, რადგან საძოვრისა და სახნავ-სათეს მამულების სიუხვე საქონლისა და ღორების გაჩენას ხელს უწყობს.

საგანგებოდ რომ ეძებოთ, ძნელად იპოვით ამისთანა შესაფერს და ყოველისფერით შემკობილ ადგილს დიდ სავაჭრო და სამრეწველო ქალაქის დასაარსებლად, როგორც სუნგარის ხეობაა. ბუნება აქ მდიდარია, მოსავალი პურისა და სხვა ნათესისა კარგი იცის, ხეხილი კარგია და ტყე სამაგალითო. მრავალგვარი მადნეულობაა, ქვანახშირიც არის, გზების გაყვანა ადვილია. მუშა ხელის სიმრავლე და სიიაფეც ხელს უწყობს ამ ქვეყნის აღორძინებას.

იქნება სწორედ ამ ბუნებრივმა სიმდიდრემ გადააქცია საომარ ველად ეს სოცნებო ქვეყანა.

«მოსკოვის უწყების» სწორედ იმავე ნომერში, სადაც ეს ცნობები ვიპოვეთ, კორესპონდენციაც არის დაბეჭდილი ხარბინიდან, რომელიც ამ ქალაქის აწინდელ ცხოვრებას გვიხატავს:

უკანასკნელ დროს დიდი მოძრაობა დაეტყო ქალაქს. ყოველ დღე აღმოსავლეთ-დასავლეთიდგან მატარებლებს ჯარი მოჰყავთ და სურსათი მოაქვთ. აქ აარსებენ დიდს საარტილერიო და საინტენდანტო საწყობებს. სანოვაგეს ისე გაცხარებულად ჰყიდულობენ, რომ ყოველივე გაძვირდა და ძვირდება. ხუთს დღეში გირვანქა ხორცის ფასმა 10—12 კაპეიკიდგან 15—20-მდე აიწია; შაქარი 11—12 კაპეიკის მაგიერ 25—30 კაპეიკად იყიდება, სანთელი 36 კაპეიკი გახდა.

ხოლო უფრო სამწუხარო — სავაჭრო საქონლის სიცოტავეა. დღეს (8 თებერვალს) სტეარინის სანთელი ვერ ვიშოვნეთ გასასყიდი და პარაფინის სანთელი უნდა ავინთოთ.

მცხოვრებთა ნახევარი სათადარიგო ჯარის კაცებთაგანი ყოფილა და ჯარში გაიწვიეს. ცოლ-შვილი სულ ულუკმაპუროდ დასტოვეს. ერთი მოსარეცხე, რომელსაც 4 პატარა ბავშვი ჰყავს, თვეში აიღებს, სულ მეტის-მეტი, 20—25 მანეთს. აქედგან 15 მანეთი ერთს ქოხში უნდა აძლიოს, დანარჩენი-კი შუშა-სანათს არ ეყოფა; რითი უნდა იცხოვროს ხუთმა სულმა? სწორედ საშინელი მდგომარეობაა. მომავალში რა იქნება — ღმერთმა უწყის, ომი ხომ, ეს არის, ეხლა დაიწყო. («მოსკ. ვედ.»).

# ტფილისი

*** შაბათს, 13 მარტს, ტფილისის მეტეხის ღვთის მშობლის ეკკლესიის დღესასწაულია. ღვთის მშობლის ხატი, ყველასაგან პატივცემული, ძველადგანვე დასვენებულია მეტეხის ეკკლესიაში ჩვენთა მეფეთაგან. ყოველთვის, დიდმარხვის მეხუთე კვირას, შაბათს, როგორც მართლმადიდებელნი, აგრეთვე სომეხნიც, დიდის სასოებით მოვიდოდნენ და ლოცულობდნენ, მოკრძალებით ისმენდნენ ღვთისმშობლის «გიხაროდენსა»; ასე რომ, ბევრმა «გიხაროდენი» ზეპირად იცოდა და მრავალნი მიიღებდნენ სულიერს ნუგეშსა. 13 მარტს, ღვთის მშობლობას, ჩვეულებისამებრ შესრულდება მეტეხის ეკკლესიაში დღესასწაულის წირვა და ლოცვა. ამ საღამოს იქმნება ცისკარი «გიხაროდენით» და მეორე დღეს საღმრთო ლიტურგია. ორივეს შეასრულებს ეპისკოპოსი ევთიმე.

*** 16 მარტიდან მოსკოვში დაიწყება კრება სრულიად რუსეთის თავად-აზნაურთა წინამძღოლებისა. ამ კრებაზედ მონაწილეობის მისაღებად ტფილისიდან მოსკოვს გაემგზავრა ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავ. დ. ზ. მელიქიშვილი.

*** ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა კრებას, 10 მარტს, გადაუწყვეტია, სათავად-აზნაურო ბანკის თანხიდან 5 ათასი მანეთი გადასდოს შორეულ-აღმოსავლეთში დაჭრილ რუს მეომართათვის შემწეობის აღმოსაჩენად.

*** ტფილისის პირუტყვთა მფარველმა საზოგადოებამ განიზრახა, შუამდგომლობა აღძრას უმაღლეს მთავრობის წინაშე საზოგადოების წესდების ზოგიერთ მუხლების შეცვლის შესახებ.

*** დღეს, 12 მარტს, ტფილისის გუბერნატორის მეუღლის სადგომში დანიშნულია იმ საზოგადოების კრება, რომელმაც შემწეობა უნდა აღმოუჩინოს შორეულ-აღმოსავლეთში დაჭრილ მეომართ და დაობლებულ ოჯახობათ. კრება ნაშუადღევის ორ საათზე დაიწყება,

*** ხვალ, 13 მარტს, საარტისტო საზოგადოების თეატრში დანიშნულია რუსული წარმოდგენა. მთელის შემოსავლის $10\%$ გადაიდება რუსეთის წითელის ჯვრის სასარგებლოდ.

*** კავკავის ოლქის სასამართლოს თავჯდომარის ამხანაგი, დეისტ. სტატ. სოვეტნიკი პოლიაკოვი, დაინიშნა ტფილისის სამოსამართლო პალატის წევრად. ტფილისის ოლქის სასამართლოს ბრალმდებელის ამხანაგი ხლებნიკოვი სმოლენსკის ოლქის სასამართლოს ბრალმდებელის ამხანაგად დაინიშნება. («კავ.»).

*** საქართველოს ექსარხოსი, მისი მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობა ალექსი, 12 მარტს დაბრუნდება ტფილისში.

*** ჰლექის საწინაალმდეგო გამოფენას ხალხი მრავლად ათვალიერებს. გამოფენა დაათვალიერეს აგრეთვე რამდენისამე სასწავლებლის მოწაფეთ. ამ დღეებში ხელოსანნი უფასოდ დაათვალიერებენ გამოფენას.

*** დღეს, 12 მარტს, დანიშნულია შეერთებული კრება ქალაქის გამგეობისა და ხმოსან-ტეხნიკოსებისა. კრებამ ადგილი უნდა აირჩიოს ქალაქის საელექტრონო სადგურისთვის.

*** ერთის თვის განმავლობაში—10 თებერვლიდან 10 მარტამდე—მუხრანის

# ფელეტონი

## ავადმყოფი.

ზეფირო, წყნარად არხევ ფოთოლსა,
ნეტარება შენ, რა კარგი რამ ხარ;
თავისუფლად რომ დაჰქრი ტყე-ველად,
მიტომ გულს მტაცებ, მიტომ მიყვარხარ.
აგრემც ეგ ლხენა ნუ მოგეშლება,
მრავალ ხანს ატკბე ეს არე-მარე...
შენთვის მთა-ბარი დამილოცნია,
მე-კი სამარე... მხოლოდ სამარე.

გრძელი სიცოცხლე, გრძელი ტანჯვაა,
მაგრამ სიკვდილი უარესია...
სიცოცხლევ, ნუ მკლავ! ერთხელ დავმტკბარვარ,
ათი ათასჯერ დამიკვნესია.
თითონ ჩავაქრე ჩემივე კერა,
სხვისთვისა ვწუხდი, ცრემლები ვღვარე;
ისინი დასტკბნენ, სტკბებიან კვალად;
მე-კი სამარე... მხოლოდ სამარე.

როცა მოვკვდები, ტიალი ბედი
ძლევისა დროშას აავრიალებს
და ის სინათლე, მე რომ მიყვარდა,
ბნელს გადაკრავს ჩემს ჩამდნარ თვალებს.
არც დილის სიო, არც განთიადი,
აღარც მზის სხივი, აღარცა მთვარე,
და აღარც ბრძოლა არსებობისთვის...
მარტო სამარე... მხოლოდ სამარე.

განივლის დრონი და ხალხის გული
შრომის წყურვილით გაიმსჭვალება.
და, ვით დღეს, მაშინ ჩვენი ცხოვრება,
აღარ იქნება ამაოება.
შესაძლო არის, სულაც მოისრას:
ტანჯვა, წუხილი და გლოვა მწარე;
ოჰ, ნეტარება იმ დროის შვილებს...
მე-კი სამარე... მხოლოდ სამარე.

ზეფირო, წყნარად არხევ ფოთოლსა;
ნეტარება შენ, რა კარგი რამ ხარ;
თავისუფლად, რომ დაჰქრი ტყე-ველად,
მიტომ გულს მტაცებ, მიტომ მიყვარხარ.
აგრემც ეგ ლხენა ნუ მოგეშლება,
მრავალ ხანს ატკბე ეს არე-მარე...
შენთვის მთა-ბარი დამილოცნია,
მე-კი სამარე... მხოლოდ სამარე.

ბ. ახოსპირელი.

## ვუძღვნი ი. ნ—ძეს.

შფოთვა, ბნედვა, კვნესა ვიში სინათლეს
ბნელს მიანიჭებს...
თმენა, ბრძოლა სულ-გრძელობით, იმ სიბნელეს გააფუჭებს.
შობილს ნათლად პირველ თქმული
დააბნელებს, დასცემს მიწად
და შექმნილსა სარგებლად წყვდიადი
ჰქმნის ეგზომ ფუჭად...
გარნა თქმული მეორე ხელ იხსნის ისევ
ადამიანს
და ბრძნად მყოფი სარგებლად შეჰქმნის
თვითვე პირველ ზიანს.
იმარჯვებს ის, ვინც ბრძოლაში გადიქცა ზღვად მოთმინების
სიმართლისთვის ვინც არ გახდა მონა
ტანჯვის, ჯვარზე ვნების.
იმარჯვებს ის, ვინც ცხოვრებამ აცურავა სისხლის ზღვაში,
იმარჯვებს ის, ვინც მუდამ დღე იყო წვასა
და დაგვაში.
იმარჯვებს ის, ვისც ბრძოლაში კიდევ
შერჩა სულის ძალა,
ვისიც რწმენა და იმედი მომავალზე არ
ჩამქრალა...
მაშ მედგრად ძმავ, მეგობარო! ხიმართლისთვის რაა ვნება?!
წინ იმედით, წინ იმ რწმენით, ჩვენ ხელთ
არის გამარჯვება.
ვინც ცხოვრებას ებრძვის, სცდილობს
დაიმონოს და დასძლიოს,
ვაშა იმას, ვინც უძლურის სისხლი ძლიერს
არ აღვრიოს!

ცალხელი.

## გაზაფხული.

გაზაფხულდა! ბრწყინვალე მზემ
არ მოგვაკლო თვის წყალობა:
დრო სიბნელეს გამოსტაცა
და სინათლეს უწყალობა:
ღამეს უკლო, დღეს უმატა,
მით მოიგო ჩვენი გული,
ზამთრის სუსხი მოგვაშორა,
ააფეთქა სიყვარული!..
ჩვეულებრივ სიკეკლუცით
მოფარფაშდა გაზაფხული,
და სულდგმულებს მოგვანიჭა
სანეტარო სიხარული...
ტყე, მინდორი, მთა და ველი
ათას ფერადა ჰყვავდება,
ზამთრისაგან გაძარცული
სულ მწვანითა იმოსება!..
გაზაფხულის ყვავილებმა
გაუცინა ბუნებასა,
სუნნელოვანება მისი
გვიხალისებს გუნებასა!..
თოვლ-ყინვამ მთებს მიაშურა,
შეეშინდა მზის სხივისა;
გაიმარჯვა მზისა სითბომ
და გაჰქრა დრო სიცივისა!..
გაზაფხულდეს, გაზაფხულდეს
და დაუდგეს ზამთარს თვალი...
ოჰ, რამდენი არსებაა
ქვეყნად მისგან განაწვალი!..
გავიხაროთ, გავიხაროთ,
კარს მოგვადგა გაზაფხული,
და, გვრწამდეს, მით განგვეკურნვის,
რაც ზამთარმა დაგვდა წყლული!..
გაუმარჯოს გაზაფხულსა,
მზის სინათლეს და მისს სითბოს,
რადგან მათგან მოწყალება
სულს გვიღვიძებს და გულს გვითბობს!..

მელქისედექ შიდოსვაჟი

## ჩემი ნატვრა

დილა არის. მზე კაშკაშებს,
სხივებს ესვრის არე-მარეს;
ქარი დაჰქრის, დანავარდობს,
ამღელვარებს ბუჩქ-მცენარეს.
ზღვა ბობოქრობს, გრგვინავს,
ღმუის,
ზვირთებს ისვრის, ქაფს იყენებს,
სალ-კლდეებს ებრძვის, ანგრევს, ამსხვრევს,
მის მახლობლად არ აყენებს!
მე შევყურებ... ვნატრობ: «ნეტა
მეც ზღვა ვიყო ბობოქარი,
არა ერთ ადგილას მდგომი,—
თავისუფლად მომდინარი,
რომ გადავსცდე ჩემს კალაპოტს,
მთა და ბარი გადავლახო,
უძლურთ მჩაგვრელს ბოროტ ძალას
თავგანწირვით დავეჯახო
და შევმუსრო, გავაქარწყლო,
მოვსპო მისი ბოროტება,
სამუდამოდ გამოვიხსნა,
ვინც დღეს მისგან იტანჯება!..

ვ. რუხაძე.

## მეუბნებიან, ნუ გიყვარს...

მეუბნებიან, ნუ გიყვარს,
დაჰკარგე მისი ტრფობაო;
მუნჯად გაუძლე, გაქავდი,
გულში ჩაიკალ გრძნობაო.
დაჰგმე, უარ-ჰყავ სურვილი,
გასწყვიტე მეგობრობაო,
თორემ ინანებ, იცოდე,
დაგეკარგება ნდობაო.
მაგრამ ბრძანებით გრძნობები
ნეტა ვის აჰღელვებია?
ან მუქარითა და რისხვით
ცეცხლი ვის გაჰნელებია?!
მე მბრძანებელი ერთი მყავს,
გულიც მას ემორჩილება,
რაც ერთხელ მითქვამს, ის კმარა,
არ ძალმიძს მისი ცვლილება.
მაგრამ რას დავსდევ მათს წყრომას
და მათსა მრისხანებასა?
მე მას თაყვანს ვცემ ღვთაებრივ,
ვითა იესოს მცნებასა;
მის სანაცვლოდა თავს დავსდებ,
ვიკისრებ მისთვის ვნებასა;
ცოცხალი მას ვემონები,
ვუმღერ ქებათა-ქებასა.

კნ. ნინო ორბელიანისა.

გორანმა ქალაქს 1,249 მანეთი შემოსავალი მისცა.

*** მისმა მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობამ, საქართველოს ექსარხოსმა, სანამ წაბრძანდებოდა სოფლის ეკლესიათა სარევიზიოდ, დაათვალიერა ჭლექის საწინააღმდეგო გამოფენა. მისმა მეუფებამ დაავალა მკურნალს ა. ხატისოვს, შეადგინე პოპულიარული დარიგება ჭლექისა და მის წინააღმდეგ ღონისძიებათა მიღების შესახებაო. ეს დარიგება ცალკე ფურცლებად დაიბეჭდება და გაეგზავნება სოფლის სამღვდელოებას მცხოვრებთა შორის გასავრცელებლად.

*** ამიერ-კავკასიის სასოფლო სამკურნალო ნაწილის მოხელეთათვის პენსიის დასანიშნავად საერობო საგუბერნიო თანხიდგან წელს 1,116 მანეთი არის გადადებული.

*** განუზრახავთ, ბაქოში ვაჟთა მეორე გიმნაზია დააარსონ. უკვე შესდგომიაან ხარჯთ-აღრიცხვის შედგენას.

*** ხუთშაბათს, 18 მარტს, საარტისტო საზოგადოების საკონცერტო დარბაზში გამართულ იქმნა სასულიერო კონცერტი, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებს საქართველოს ექსარხოსის მგალობელთა გუნდი. მთელი შემოსავალი გადაიდება რუსეთის სამხედრო საჭიროებისათვის.

*** მსახიობმა კონ. ყიფიანმა „ქ. შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ გუშინ გადასცა თვის მიერ შედგენილი სათამაშო «საწრთვნელი გასართობი». ბ-ნს ყიფიანს აულია 625 ნაჭერი ქაღალდისა, ზომით სათამაშო ქაღალდის ოდენა თითო. თვითეულს ქაღალდზე დაუწერია ქართული ხალხური თქმულება, ანდაზები, ნაკვესები, რჩევა-დარიგება, ბრძნული სიტყვები, ბრძნული აზრები, ლექსების ნაწყვეტები ქართველ პოეტებისა და უცხოეთის გამოჩენილ კაცთა აზრები. ამ ქაღალდებით თამაშობა შეიძლება დიდს საზოგადოებაშიაც. დამსწრენი აირჩევენ ერთს ვისმე და მის შესახებ ყველამ თავისი აზრი უნდა გამოსთქვას. ამიტომ თვითოეულმა მოთამაშემ სამ-სამი ან მეტი ქაღალდი უნდა აიღოს და თუ ქაღალდზედ დაწერილია ის, რაც სათქმელი აქვს არჩეულ მოთამაშეზედ, მაშინ ქაღალდს წინ დაუდებს. როცა ყველანი დააწყობენ ქაღალდებს, მაშინ დამსწრეთაგან არჩეული თავმჯდომარე ხმა მაღლა წაიკითხავს დაწერილებს. ბ-ნი ყიფიანი ირწმუნება, რომ შეყვარებულთ ძალიან გაუადვილდებათ თავიანთ გრძნობების გამოცხადება ერთმანეთისავისაო. შეყვარებულს კაცს შეუძლიან აიღოს ისეთი ქაღალდი, სადაც სიყვარულზედ სწერია, და დაუდოს იმ ქალს, რომელიც მოსწონს, ან უყვარსო.

*** «ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების» სასარგებლოდ 1903 წ. 22 დეკემბერს გამართულ კონცერტიდგან შემოვიდა: ბილეთებისა 1,120 მან., პრემიები 201 მან., პროგრამებისა 36 მან. 57 კაპ., სულ 1,357 მან. 57 კაპ.

დაიხარჯა: დარბაზის ქირა 200 მან., ორკესტრს 86 მან., ხორო 54 მან., მარკები 48 მან., მუსიკა 40 მან., როიალი 40 მან., არტისტებს 35 მან., ზურნა 10 მან., ბილეთებისა და აფიშების დაბეჭდვა გაკვრა-დარიგებით 25 მან. 35 კაპ., დურგალს ესტრადის გასაკეთებლად 15 მ. 40 კ., მსახურებს და ბიჭებს 22 მ. 35 კ., სხვა-და-სხვა წვრილმანი 44 მ. 80 კ., სულ 620 მ. 90 კ.; დარჩა წმინდა შემოსავალი 736 მ. 67 კ.

«წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების» გამგეობა თავის მოვალეობად სთვლის, უღრმესი მადლობა უძღვნას კონცერტის გამგე დიასახლისებს: კნ. ოლგა თადეოზის ასულს ჭავჭავაძისას, ქ-ნს ეკატერინე ივან. ასულს სარაჯიშვილისას და კონცერტში მონაწილეობის მიღებისათვის ქ. ჩემესოვისას, ბ-ნთ აკაკი წერეთელს, ზ. ფალიაშვილს, ვილმსს, კესნერს, პოლივკასა და ევლახიშვილს; პრემიების შემოწირვისათვის: ინჟ. დეტელოვს, მიხ. ალ. წერეთელს, გიორ. ილ. სერებრიაკოვს, იაკობ კონ. ზუბალაშვილებს, კნ. ბარათაშვილისასს, თ. მიხ. ალ. ნაკაშიძეს, კნ. თამარა გრუზინსკისას, კნ. მარიამ სილ. არღუთინსკი-დოლგორუკოვისას, პავლე იოს. თუმანიშვილს, თ. გრ. არღუთინსკის, ნ. რევ. №, მარ. ილ. პროკანეს, კნ. მარიამ ვახ. ჯამბაკურ-ორბელიანისას, მიხ. ან. ადნიაშვილს, თ. ივ. გივ. ამილახვარს, თ. ილ. დიმ. ბეგთაბეგიშვილს, კნ. კეკო ამილახვრისას, თ. ნიკ. ზაალ. ჩოლოყაშვილს, თ. დიმ. ერის. ჩოლოყაშვილს, სოფიო ჩხარტიშვილისას და „ივერიის“ და «ცნობის ფურცლის» რედაქციებს განცხადებათა უფასოდ დაბეჭდვისათვის.

*** რედაქციამ მიიღო ახალი წიგნი რუსულს ენაზედ: «ცნობანი რუსეთის საიმპერატორო საგეოგრაფიო საზოგადოების კავკასის განყოფილებისა». წიგნში მოთავსებულია მრავალი ცნობანი კავკასიის ზოგიერთ ადგილების გეოგრაფიულ მდებარეობას შესახებ.

## „კახეთის მევენახეთა საზოგადოების“ წევრთა საზოგადო კრება *).

თავმჯდომარე. გთხოვთ მოისმინოთ გუშინდელი კრების ოქმი და, თუ საჭიროა შეასწოროთ.

წაკითხული ოქმი შეიწყნარა კრებამ.

თავმჯდომარე. გუშინ მოხსენდა კრებას საზოგადოების წლიური ანგარიში. ახლა საჭიროა გავიცნოთ აზრი სარევიზიო კომისიისა საზოგადოების მოქმედებაზედ.

წაკითხულ იქმნა სარევიზიო კომისიის ორი ოქმი: ერთი ანგარიშის განხილვისა და მეორეც მაისში ჭომხდარ რევიზიის გამო. პირველ ოქმში სარევიზიო კომისია ამოწმებს წლიურ ანგარიშს საზოგადოების დავთრებთან და სრულს თანხმობას და თანასწორობას ჰმოწმობს საზოგადოდ. შემდეგ წლიურ ანგარიშის ზოგიერთ განყოფილებას შენიშვნებს უკეთებს. პირველი შენიშვნა შეეხება მოგების რაოდენობას. სარევიზიო კომისია ანგარიშში ნაჩვენებ მოგების რიცხვს 24,297 მ. 33 კ. რამდენისამე ასის მანეთით აცოტავებს. მეორე შენიშვნა შეეხება ღვინის საშუალო ფასის გამოანგარიშებას და არ ეთანხმება გამგეობისაგან ანგარიშში მოხსენებულ რიცხვებს; მაგალ., კომისიის აზრით, საშუალო ფასი ღვინისა ტფილისში უნდა იყოს ვედრაზედ 2 მან. 31 კაპ. და არა 2 მან. 34 კაპ., როგორც ანგრიშშია ნაჩვენებიო; მესამე შენიშვნით, თელავის ბიუროზედ დახარჯულის ფულის ცარიელ რიცხვების ჩვენებას საკმაოდ არა სთვლის. საჭირო იყო, გამგეობას ეჩვენებინა, თუ რაში რამდენი დაიხარჯაო. მეოთხე შენიშვნაში ნათქვამია, რომ მე-XVII განყოფილებაში ნაჩვენები რიცხვი 3437 მან. 94 კაპ. ეცოტავება კომისიასო და თანაც დასძენს წევრთათვის ფულის საშოვნელად გაცემულ ვექსილების პირველ ვადას, სარგებელი-კი საზოგადოებამ უნდა გადაიხადოს, ხოლო ვექსილის განახლებისათვის გარდახდილი სარგებელი, სიმართლე მოითხოვს, რომ იმ წევრმა გადაიხადოს, რომელსაც ვექსილი ეძლევა გასანაღდებლადაო. მეხუთე შენიშვნა შეეხება მე-XXV განყოფილებაში მოხსენებულს რიცხვს 7367 მან. 61 კაპ., სჯობს ეს რიცხვი თანხის რიცხვს მიემატოსო.

მაისის ოქმში სარევიზიო კომისია აღნიშნავს ნაღდის ფულის რაოდენობას, სარდაფში შენახულ ღვინის რაოდენობას, აგრეთვე აღწუსხულია ავეჯი სარდაფისა. ადგილობრივ შემოწმებით მიღებულ რიცხვებს ამოწმებს საზოგადოების დავთრებთან და ეთანხმება. ამ ოქმში მიაქცევს ყურადღებას გამგეობისას, რომ წევრთაგან ზედ-მეტად გატანილის ფულის რაოდენობა-კი არა კლებულობს, როგორც უნდა მოველოდეთო, არამედ მატულობს, და ეს დიდად საგრძნობელია წევრთა უმრავლესობისათვის საზოგადოდ და კერძოდ იმ წევრთათვის, რომელთაც ხვედრი ფული არა აქვთ მიღებულიო.

კრების თავმჯდომარემ სთხოვა, ჩაეწერილიყვნენ, ვისაც სურდა, და თავისი აზრი გამოეთქვა წლიურ ანგარიშზე.

თავ. შ. ჩოლოყაშვილი შეეკითხა თავმჯდომარეს იმ ქაღალდების შესახებ, რომელიც გუშინ მოისმინა კრებამ. თავმჯდომარემ განუმეორა კრებას, რომ ის ქაღალდები, თანახმად წესდებისა, გადაეცა გამგეობას, რომ მან თავისის დასკვნით წარმოუდგინოს შემდეგს მორიგს კრებას.

თავ. ი. ჯორჯაძე. ერთხელ კიდევ მივაქცევ გამგეობის ყურადღებას მისგანვე დასტამბულ წევრთა სიაზედ და ვთხოვ, სიიდან გამორიცხოს ისინი, ვინც წევრებად აღარ ითვლებიან. ამას გარდა, რადგანაც ზოგიერთ იმათგანს არც ერთი წვეთი ღვინო არ შემოუტანია, არც საწევრო ფული აქვს შემოტანილი, ეს უკანასკნელი გარემოება-კი იმის ბრალია, რომ ფულად არ მოვსთხოვეთ საწევროს შემოტანა,—ამიტომ ვთხოვ კრებას, დაადგინოს, რომ ამას იქით ყველას ფულად ერთმეოდეს საწევრო. კრება დაეთანხმა თავ. ი. ჯორჯაძეს.

ნადკვირელი.

(შემდეგი იქნება)

*) იხ. „ივერია“ № 63.

## ჩვენებური ამბები

**დ. სუჯუნა** (სენაკის მაზრა). „ვისაც ჩემი სიყმაწვილე არ უნახავს, ღმერთო, ჩემს სიბერესაც ნუ აჩვენებო»,—ნათქვამია, და სწორედ ეს ითქმის ჩვენს დაბერებულს სუჯუნაზედაც.

ვიდრე სუჯუნიდგან ოთხ ვერსზე რკინის გზის სადგური «აბაშა» გაკეთდებოდა, სუჯუნაში სიცოცხლე სდუღდა და გადმოდუღდა; აღებ-მიცემობა გაჩაღებული იყო და კვირა-პარასკეობით იმდენი ხალხი გროვდებოდა, რომ უცხო კაცს «იარმუკობა» ეგონებოდა. «გიორგობა» დღეს, 23 აპრილს, ათასობით ჰგროვდებოდნენ მყიდველ-გამყიდველნი ქუთაისის გუბერნიის ყოველ კუთხიდგან. ხალხს შეძლება ჰქონდა და გამაძღარიც იყო. აქ იყო დაბინავებული ჭყონდიდელი (ეპისკოპოსი), დაბის მმართველობა და ექიმი; ამ არემარეს განსაკუთრებულს ყურადღებას აქცევდა სამეგრელოს მთავარიც. დღეს-კი ჩვენი სუჯუნა ღრმა ძილშია: სადგურმა აბაშამ წაართვა მას ბევრი აქაური მკვიდრი და ვაჭრები-კი სულ ყველანი სადგურ აბაშაში გადავიდნენ; დარჩა მხოლოდ ორიოდე ვაჭარი, რომლებიც გამოსაქცევ გზაზედ დგანან. დაცარიელებულ დუქნებს უყურადღებობით გვერდი მოჰქცევია და წაქცევაზედ არის, ზოგი იმათგანი-კი დამპალ ფიცრების გროვასა ჰგავს; უწინდელის ვაჭრობისა და მოძრაობისა ეხლა აჩრდილიც არ არის. წარსულ დროების განებივრებულ მკვიდრთ სული ეხუთებათ. მიძინებულ სუჯუნას წმ. გიორგის დღესასწაულზედ ელვიძება, რადგან მაშინ ბაზრობა-ვაჭრობა ცხოვლდება და მიმკვდარებულს დაბას სიცოცხლე ეტყობა; მცხოვრებთ თუ რამე აქვთ, მაშინ გააქვთ გასასყიდად და თუ რამე სჭირდება, მაშინ ჰყიდულობს.

სუჯუნაში რამდენიმე სკოლაა: ერთი სამრევლო, ერთი—ორ-კლასიანი, სამინისტრის უწყებისა, და ერთიც—დაბის სკოლა, რომელშიაც სწავლობს რამდენიმე ასი ქალ-ვაჟი; მთავრობა აპირებს აგრეთვე საქალებო სასწავლებლის გაფართოვებას; ამ სასწავლებლის ორი კლასი უკვე არსებობს.

სუჯუნას ჰყავს რამდენიმე განათლებული შვილი, რომელნიც ბედის უკუღმართობას დაუფანტავს საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხეში, სხვა-და სხვა ხელობა-სამსახურში, მაგრამ სუჯუნას, როგორც მათს სამშობლო დაბას, ჯერ-ჯერობით არც ერთი მათგანი არაფრით გამოდგომია; ბევრს იმათგანს ადგილობრივი მცხოვრებლები არც-კი იცნობენ; მართალია, ჩვენს დაქვეითებულს დაბას ისინი ერთის ხელის გაქანებით ვერ ააყვავებენ, მაგრამ დრო-გამოშვებით მათი სუჯუნას ჩამოსვლა ჩვენ გაგვამხნევებს, სიცოცხლეს შეგვძენს, გამოგვაღვიძებს, ენერგიას შეგვმატებს. ვინ იცის, ეგებ შეერთებულის ძალითა და შრომით ხელახლა გამოვაბრუნოთ ჩვენი დაავადებული დაბა. აქ არის საჭირო მხოლოდ სურვილი და დანარჩენი ხელს არ შეგვიშლის. ერთისა და ორის დღით აქ ჩამოსვლით ისინი არ დაიღუპებიან; ჩვენი გაჭირვებული დაბა შველას თხოულობს და ვინ უნდა უშველოს, თუ არა მისმა ღვიძლმა შვილმა და მოყვარემ? ესენი ვალდებულნი არიან, თუ არა იურიდიულად, ზნეობრივად მაინც, რომ დაცემული სუჯუნა როგორმე ფეხზედ წამოაყენონ! ჩვენ უნდა მოვითხოვოთ მათგან მხოლოდ ზნეობრივი დახმარება და არა სხვა რამე...

სუჯუნაში არსებობს სამკითხველო, აფთიაქიც მალე დაარსდება და ჰფიქრობენ ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის დაარსებასაც. აქ წელიწადში ორჯერ იმართება იარმუკა-ბაზრობა—ერთი გიორგობას (22—24 აპრილამდე) და მეორე—ივლისში—7—15-დე. სუჯუნაში ებრაელებს აქვთ ორი თუ სამი საწყობი კვერცხებისა და ბუმბულისა. ეს საწყობები წელიწადში, საშუალო რიცხვით, საზღვარ-გარედ ჰგზავნის სამ მილიონ ნახევრამდე კვერცხს და ათას ფუთამდე ბუმბულს. ებრაელების სიტყვით, თუ ფულიანი კაცი გაუჩნდათ ახლო, შეიძლება ყოველ-წლობით გაჰყიდონ ოქტომბრიდგან მარტამდე ორ-ორი ვაგონი კვერცხი კვირაში, ან სულ 48 ვაგონი, და აპრილიდგან სექტემბრამდე ექვსი ვაგონი კვირაში, ან სულ 54 ვაგონი. თითო ვაგონში ჩადის ასი ფუთი და თითო ყუთში 1,440 კვერცხია, 54 ვაგონში იქნება სულ რვა მილიონამდე, ე. ი. სულ მცირე ფასი რომა ვთქვათ, გაიყიდება სამოცდა თვრამეტი ათასის მანეთის კვერცხი. ამ გარემოებას მიაქცია ყურადღება ამ დღეებში სუჯუნაში ჩამოსულმა ქუთაისის სამეურნეო ფრინველთა მომშენებელის საზოგადოების სასტატისტიკო ბიუროს თავმჯდომარემ, რომელსაც იმედი აქვს, მოიწვიოს სუჯუნაში საზღვარ-გარეთიდგან რომელიმე ფირმა და დააარსოს კანტორა.

სუჯუნელი

## ნარკვევი

გაზ. «ს.-პეტ. ვედ»-ში ვკ თხულობთ:

„ჩვენ გვწერენ ამიერ-კავკასიიდან: აქ ყველგან აღტაცებული და აღფრთოვანებული ხმა და ძახილი ისმის რუსეთის ერის პატივის-ცემისა და გულ-წრფელის სურვილისა, რომ მალე და სავსებით სძლიოს მან მტერს, რათა კვლავ განაგრძოს მშვიდობიანი წარმატება.

გარედან მოდის მოუსვენრობის აღმძვრელი ხმები, ვითომ ომი მალე მახლობელ აღმოსავლეთში ასტყდებაო, მაგრამ ეს ხმები უფრო მეტად აღაფრთოვანებს აქაურებს, რომელნიც შორეულ აღმოსავლეთისაკენ მიიბრძვიან, რათა თვისის სისხლის დაქცევით რუსეთის ჯარში კვლავ აღბეჭდონ ძმური გრძნობანი, ხოლო თუ მახლობელ აღმოსავლეთშიაც ომი დაიწყო, მაშინ ხომ თვითოეული თავის მოვალეობად მიიჩნევს გულ-მკერდით დახვდეს მტერს სამშობლო ქვეყნის საზღვარზედ.

მთლად ქართველობა საომარ გრძნობით არის გამსჭვალული. თუშ-ფშავ ხევსურნიც-კი,—ეს მთათ-სავანეებში ჩაკეტილნი ქართველთა ტომნი,—რაკი ყური მოჰკრეს სადღაც, შორს ომი აქვს რუსეთსაო, ჩამოდიან ბარად მამა-პაპათა ჩაჩქნებითა, ტალ-კვესიანის თოფებითა და შინ ნაკეთებ ფარ-შუბითა და იხვეწებიან, ომში გაგვგზავნეთო.

ქართველთა სულიერ მდგომარეობისა და ვითარებისა თითქმის არა თქმულა-რა მწერლობაში, იმიტომ რომ ხმა მათი რუსთა ხმას ზედ ერთვის, უერთდება; და რუსებთან-კი ისინი ძმურად არიან გაერთიანებულნი ყოველ სამოქმედო ასპარეზზედ. სწერდნენ, რომ კრება ჰქონდათ ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობათ და რომ გრძნობა სიყვარულისა რუსეთის მიმართ სჩქეფდა ამ კრებაზედაო, გარნა არ იყო მოხსენებული, რომ მაგ კრებაზედ დაესწრნენ თითქმის მარტო განსაკუთრებით ქართველნი სხვა-და-სხვა თემისანი: ქართლელნი, კახელნი, მეგრელნი და სხვ. ესევე უნდა ითქვას სხვა დაწესებულებათა და სასწავლებელთა შესახებ, სადაც რუსნი და ქართველნი ასევე განუყოფელ-განუკვეთელნი არიან.

ასეთს გუნებაზედ ყოფნა ქართველთა, ასეთი მათი ძმური სიყვარული რუსეთის ერის მიმართ, სასურველია, აღინიშნოს, რადგანაც შესაძლოა, სულ სხვა-და-სხვა დამახინჯებული აზრი შთააგონონ რუსეთის ერს საქართველოზედ მისმა მტრებმა, ისეთი აზრი, რომელსაც შეეძლება ფრთები შეასხას რუსეთის მტერთა თავხედურს იმედებს“.

## თეატრი და ხელოვნება

### ქართული თეატრი.

მეორე ჯგუფმა არტისტებისამ სამშაბათს, 9 მარტს, ვლ. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით, წარმოადგინა «ურიელ აკოსტა». «წვრილმა» არტისტებმა ჩვენი ნიჭიერი მსახიობი მიიწვია თავის ამხანაგობაში და რეჟისორობაც მას დაავალეს. რასაკვირველია, ეს გამოცდილი მსახიობი თავის ხელს დაამჩნევს ყმაწვილ ამხანაგთა თამაშობას და ამიტომაც იყო, მაგ., სამშაბათის წარმოდგენაში, რომ შეგნებული, მომზადებული თამაშობა ყმაწვილ მსახიობთა, სასიამოვნო შთაბეჭდილებას სტოვებდა. ისეთი ძნელი როლები, როგორიცაა დე-სილვა, ბენ-აკიბა, ივდითი — რიგიანად იქმნა ასრულებული ივანიძისა, სარჯველაძისა და ნ. დავითიშვილის მიერ.

მათ შორის ივანიძესა და დავითიშვილს უფრო მეტად შეეგნოთ თავ-თავისი როლები. ივანიძე მოფიქრებით, ზომიერად თამაშობდა, ხოლო დავითიშვილი გრძნობას წრფელად გადმოგვცემდა და ამით ერთხელ კიდევ დაგვიმტკიცეს, რომ შეიძლება კარგნი მსახიობნი დადგნენ; ამისათვის საჭიროა, რასაკვირველია, მეცადინეობა და სწავლა.

უნდა აღვნიშნოთ კიდევ ქ-ნის ნებიერიძის ვულ-წრფელი, მოფიქრებული თამაშობა აკოსტას დედის როლში, რომელიც მსახიობმა ქალმა დიდის დრამატიზმით წარმოადგინა.

პირველი ადგილი, რა თქმა უნდა, ახლაც, როგორც ყოველთვის, ისევ აკოსტას ამსრულებელს, ვლ. ალექსი-მესხიშვილს, ეკუთვნოდა. აკოსტას როლი მსახიობის როლებში ერთი საუკეთესოთაგანია, და, რასაკვირველია, რომ მსახიობმა, მისმა ტემპერამენტმა და მიმიკამ, იმდენი ტაშის კვრა და აღტაცება გამოიწვია საზოგადოებაში, რომელიც თეატრში ნაკლებად იყო.

—

«დალატი» სომხურ ენაზე. როგორც ეტყობა, არც სომხები ჩამორჩენილან სხვებს და თავ. ალექ. სუმბათაშვილის «ღალატი» უკვე უთარგმნიათ. ერთი თარგმანი იბეჭდება სომხურ ჟურნალ «თარაზში» და ეკუთვნის ბ-ნ ჯალალიანს, ხოლო მეორე თარგმანი ჟურნალს «მურჯში» დაიბეჭდება და ეკუთვნის ალექ. ასატურიანს.

## ცოტა რამ ბ-ნ «მოცლილი კაცის დღიურის» ავტორის შესახებ [1]).

(წერილი რედაქციის მიმართ)

მოთმინებასაც თავისი საზღვარი აქვს! თითქმის სამი კვირაა, რაც დაიბეჭდა «ივერიაში» ჩემი წერილი, რომელშიაც ვთხოვდი ბ-ნ «მოცლილი კაცის დღიურის» ავტორს, პასუხი მოეცა ჩემს კითხვებზედ; ის-კი სიჩუმით მიპასუხებს, თუმცა უნდა ჰგრძნობდეს, რომ პასუხის მოცემა ასე თუ ისე საჭიროა. საჭიროა იმიტომ, რომ, როგორც პირველ წერილშიაც ვამბობდი და ეხლაც ვიმეორებ, დამახინჯებული ფაქტები მიართვა საზოგადოებას, მოურიდებლად ფეხით გათელა და სიცრუეს დაადგებს. ეტყობა, სიმართლის თქმას არ არის მიჩვეული. რა გაეწყობა! ჩემდა უნებურად იძულებული ვარ ვილაპარაკო იმ საქმეზე, რომელიც ისე დაამახინჯა ბ-ნმა «მოცლილი კაცის დღიურის» ავტორმა.

მაშ, ყველამ გაიგოს, თუ რისთვის გამოვედი დასიდან, რამდენი ფული «ჩავიჩხრიალე», როგორ „მოკრძალებითა და წრფელის სიყვარულით“ მექცეოდა დრ. საზ. გამგეობა [2]) და რა «უკადრისი» წერილი მივწერე ამ გამგეობას! გაიგოს ყველამ ეს და ისიც, თუ რა კარგი საქმე ჩაიდინა ბ-ნმა მოცლილმა კაცმა, როდესაც ჩემს წინააღმდეგ ამხედრდა.

პირველი წარმოდგენა თავ. სუმბათაშვილის პიესის «ღალატისა» იყო 20-ს იანვარს. 23-ს იანვარს მე გადმომცეს ზეინაბის როლი და მიბრძანეს, რომ 27-ს მეთამაშნა; მასწავლებდნენ მხოლოდ ოთხს რეპეტიციას. ამ დროს დასი წასული იყო ქუთაისსა და ბათუმში და მხოლოდ 26-ს უნდა დაბრუნებულიყო, ე. ი. წარმოდგენის წინა დღეს, ასე რომ, სამი რეპეტიცია უნდა მქონოდა სოლეიმანის როლის ახალ ამსრულებელთან, ბ-ნ შალიკაშვილთან, რომელიც მაშინ ტფილისში იყო, მთელ დასთან-კი რეპეტიცია მხოლოდ ერთი მრჩებოდა.

თავიდანვე უარს ვამბობდი ზეინაბის როლზე, რადგანაც კარგად ვხედავდი, რომ ჩემს ძალ-ღონეს აღემატებოდა [3]), თავიდანვე უარს ვამბობდი, რადგან ვიცოდი, რომ ე. მესხი თანახმაა ჩამოვიდეს ტფილისში და ითამაშოს [4]); უარს ვამბობდი და უნდა გეუბნებინათ, როგორ მემუქრებოდნენ: [5]) დაგვაჯარიმებთ, დასიდან გამოგრიცხავთ, ბენეფისს წაგართმევთ, და სხვ.; თუ წინად მქონდა უარის თქმის მიზეზი, მით უმეტეს ეხლა, როდესაც საქმე ისე მოაწყვეს, რომ მხოლოდ ერთი რეპეტიცია მრჩებოდა. თუ გამგეობას ჰქონდა იმდენი სითამამე, რომ საზოგადოება მოეტყუებინა ამგვარის მოუმზადებელის წარმოდგენით, მე არ მქონდა ეს სითამამე. ვინ იტყვის, რომ ჩემი მოვალეობა იყო მოუმზადებლად, ურეპეტიციოდ სცენაზე გამოვსულიყავი! პირობა? ხელშეკრულობა? დიახ, მაგრამ პირობაზე უფრო ძლიერი სინდისია!

გავკადნიერდი და ვითხოვე, დრო მოეცათ ველდიერამდე, რომ სირცხვილში არ ჩავვარდნილიყავი და არ მოეტყუებინა ის საზოგადოება, რომელსაც ვემსახურები. გავკადნიერდი და მოვაგონე თავმჯდომარეს, რომ პირველი წარმოდგენა ჩაიღუპა მოუმზადებლობამ. გავბედე და ხმა ამოვიღე დასაცველად იმ საქმისა, რომელიც მიყვარს, დასაცველად ჩემის თავისა. გავბედე თავისუფალი (?) მსჯელობა საქმისა და გამგეობის ბძანების წინააღმდეგ. დიახ, გავბედე და მაჩვენეს ჩემი ადგილი ადგილი დაქირავებულის მსახიობისა. «საქმის წაუვანას ნუ გვასწავლით!»—ეს მივიღე პასუხად. გაჩუმების მეტი აღარა დამრჩენოდარა. გავჩუმდი კიდეც და მოვიქეც ისე, როგორც გამიჩნდა გონებამ: გამოვედი დასიდგან.

არსებობს პირობის ქაღალდი, რომლის ძალითაც მსახიობი მოვალეა ითამაშოს ყველა როლი, რომელსაც მას დაუნიშნავენ, მაგრამ არ მოიპოვება ისეთი პირობის ქაღალდი, რომელიც ავალებდეს მსახიობს,—შეასრულოს უაკლოვარი ბრძანება, თუნდ ეს მისი ზნეობრივი დამცირებაც იყოს. ნუ თუ ჩვენ, მსახიობნი, სრულებით უპირადონი ვართ? გამგეობის მისწრაფება იყო, როგორმე დაემთავრე-

[1]) იხ. „ივერია“ № 25.

[2]) სიტყვას «გამგეობა» ვხმარობ როგორც საზოგადო დაწესებულებას; საქმეზე ყოველგვარი მოლაპარაკება მქონდა ბ-ნ თავმჯდომარესთან.

ნ. ჩხეიძე.

[3]) Уничиженіе паче гордости-ო, რუსები რომ იტყვიან, სწორედ ეს არის. მედეას როლის ამსრულებელი ამბობს ამას, მაგრამ კარგად ვიცით, ძაღლის თავი საცა მარხია. «შურდ». რედ.

[4]) იმას-კი შესწევს ძალ-ღონე? იგივე.

[5]) კიდეც ეგ არის, რომ გემუქრებოდნენ მხოლოდ და მუქარა კი არ შეასრულეს! იგივე.

ბინა სეზონი უდეფიციტოდ და ამითი დაემტკიცებინა თავისი ვითომდა საზოგადო მოღვაწეობა. სად იყო ჩვენი ხელოვნებისადმი სამსახური? ჩვენ ვიყავით გამგეობის თვალში მხოლოდ მუშები მათის კასის [6]) შესავსებლად! ამ ნიადაგზედ მოხდა უთანხმოება ჩემსა და თეატრის მოთავეთა შორის. შეეტაკენ ერთმანეთს: ერთის მხრით თავმოყვარეობა გამგეობისა სურვილი ფულის მოგროვებისა, დაუდევრობა საზოგადოებისა და საქმისადმი; მეორე მხრით—თავმოყვარეობა მსახიობისა, სურვილი, რომ არ გაფუჭებულიყო არც პიესა, არც როლი და იმავე საზოგადოებისა და საქმისადმი პატივისცემა. როგორ მოიქცეოდა ჩემს ადგილას ყველა მოყვარული თავის საქმისა? აი, «მოცლილი კაცი» ჩემ საქციელს ამტყუნებს! მაშ, მისის აზრით, უნდა მეცრუვნა საზოგადოების წინაშე? სიცრუე დამითმია ბ. მოცლილ კაცისათვის. მე-კი გავკადნიერდები და გავიმეორებ, რომ ჩემი ზნეობრივი მოვალეობა იყო, გამოვსულიყავი დასიდან. ბ. მოცლილი კაცი ბრძანებს, რომ ვერ გაუგია მიზეზი ჩემის დასიდგან გამოსვლისა. რა თქმა უნდა, ვერ გაიგებს, როცა სიზმრებს აჭყოლია და სძინავს, სძინავს იქ, სადაც სიფხიზლეა საჭირო! სამწუხაროა!

მაშ, ასე, გამოვედი დასიდგან და სწორედ მაშინ მივწერე თავჯდომარეს «უკადრისი» წერილი. აი წერილიც:

«დიდად პატივცემულო ნიკოლოზ გიორგის ძევ! მუქარით ჩემგან ვერავინ ვერას გაიტანს; თქვენ და ბ. რეჟისორმა-კი მუქარას მიჰმართეთ. [7]) რადგანაც მოვალეობას გამგეობის წინაშე და არა საზოგადოების (მოვალეობა საზოგადოების წინაშე მე სულ სხვანაირად მესმის) გადავუხვიე, ამიტომ სულ თავს ვანებებ თქვენთან სამსახურს [8]). ძალიან გულით მინდოდა ეს ორი კვირაც როგორმე დამეთავებინა, მაგრამ, ჩემდა სამწუხაროდ, ჩემთვისაც აუტანელი გახდა და არც თქვენ მინდა შეგაწუხოთ ჩემის «კაპრიზებით». თქვენ და ბ. რეჟისორმა მაიძულეთ ასე მოვქცეულიყავი. ნ. ჩხეიძე» [9]).

აბა, რა არის «უკადრისი» ამ წერილში? უკადრისობა ის არის, რომ მოცლილ კაცს, როგორც ეტყობა, არც წაუკითხავს ეს წერილი და «უკადრისი»-კი უწოდა. ეს კიდევ ცოტაა: ბეჭდვითი სიტყვას მიმართა და ამ რიგათ მიაღწია თავისს საწადელს: ტალახში ამოსვაროს [10]) და საზოგადოება ჩემი წინააღმდეგი გახადოს; მას დაავიწყდა, რომ კაცის უსაფუძვლოდ გამტყუნება, მასზედ ჯავრის ამოყრა, არ არის ბეჭდვითი სიტყვის დანიშნულება. დაავიწყდა, და მე, სცენის პატარა მუშაკმა უნდა გავახსენო ეს გაზეთის დიდ მუშაკს! «გამგეობა ყოველთვის მოკრძალებითა და გულ-წრფელის სიყვარულით" მექცეოდა! ვნახოთ! გავიხსენოთ!

თუ ჩემი სისუსტე და ნერვების ავადმყოფობა თეატრის საქმეს ხელს უშლის, დასში არ უნდა მივეწვიეთ [11]). სჩანს, შესაძლოდ დამინახეს და მიმიწვიეს თვეში ოთხი წარმოდგენით (დამიხედეთ ქართულს?). დიახ (დ) ოთხით! მაგრამ ეს სიტყვად დარჩა და საქმით-კი სულ სხვა აღმოჩნდა: ყოველ თვეში თხოულობდნენ ზედ მეტი მეთამაშნა, ხან ერთი, ხან ორი წარმოდგენა (წარმოდგენის თამაში არ გაგვიგონია). მე ვახსენებდი ჩემ შეუძლებლობას, ვთხოვდი· ვევედრებოდი, გამოვტყდებოდი—ვტიროდი კიდეც... შედეგი რა იყო? შედეგი ის იყო, რომ გამგეობა «მოკრძალებით» მექცეოდა: მე ვთამაშობდი ზედ მეტს. სხვა ბევრს რამეში იხატებოდა «მოკრძალება», მაგრამ ყველაფრის ჩამოთვლა არა ღირს.

«კომიტეტი გულითა და სულით სცდილობდა ბრწყინვალედ ჩაეარნა ამ დღესასწაულს», ე. ი. ჩემს ბენეფისს!

დიახ! «გულითა და სულით», თუ შეიძლება კაცმა უწოდოს გულითა და სულით ცდა იმას, რომ მხოლოდ ერთი სრული რეპეტიცია მქონდა, ისიც ურეჟისოროდ! ან და ჩემში ბენეფისისათვის საიდან გამოძებნიდნენ რეჟისორს, რომ მთელის სეზონი არა გვყოლია! რასაკვირველია, კომიტეტი არ არის მოვალე, მე ან სხვა მსახიობს განსაკუთრებით «მოკრძალებით» მოექცეს, მაგრამ ასე რიხიანად რად ლაპარაკობს ბ. «მოცლილი კაცი» იმაზე, რაც არ ყოფილა?

ბენეფისმა გაიარა, ჩხეიძის ქალმა «ფულები ჩაიხჩრიალა და ალალ ფურივით მოსწველა საზოგადოება და კომიტეტი".

ვიანგარიშოთ!

ბენეფისიდან დამრჩა 94 მ., კომიტეტს—300 მ. [12]), ზედ მეტის წარმოდგენებისა უნდა მომცეთ, დაპირებისამებრ, 100—125 მ. [13]), არ მომცეს; ბოლოს ნახევარი თვის ჯამაგირი მერგებოდა 65 მ., არც ეს მომცეს; სულ დამრჩა მიუღებელი 200 მან.-დე. მაშ, რა გამოდის? ვინ «ჩაიხჩრიალა» ფულები? [14]) მე, რომელსაც შრომის ჯილდოც არ მომიცეს?.. არა დაგვკლდებათ-რა, ბ. «მოცლილო კაცო», ცოტა არითმეტიკა ისწავლოთ! რა ვთქვათ კიდევ ბ. «მოცლილ კაცზედ»? ღირს კი? [15]). მოცლილი კაცების რიცხვს ვერ შევამცირებთ, საქმის კაცებს-კი—მოვაწყენთ.

ნინო ჩხეიძე.

[6]) ნეტა ვისთვის არსებობდა ეს კასა? გამგეობა იდებდა იქიდან ჯიბეში რასმე, თუ სულ არტისტებს ხმარდებოდა. «შურდ. რედ".

[7]) როდის აქეთია, რაც აკაკის მტარვალად იცნობს საქართველო?! „შურდ. რედ.".

[8]) რადა საინტერესო იყო სამსახური ბენეფისის მიღების შემდეგ?! «შურდ. რედ.".

[9]) ამ წერილის დედანი ბ. თავმჯდომარეს აქვს მისი ნაბიჯი. ავტ.

[10]) სიმართლის თქმა ტალახში ამოსვრა-კი არ არის ვისიმე,—სამღვთო მოვალეობაა ადამიანისა. „შურდ. რედა".

[11]) კოდელი ნინო ხომ არავინ იყო, რომ წინდაწინვე სცოდნოდათ ეგა? იგივე.

[12]) სჯობდა-კი, მე და ჩემმა ღმერთმა, ეგ 300 მანათიც იმას გადასცემოდა. თუ სამასი და კიდევ მეტი თუმანი იზარალა კომიტეტმა, ეგ სამასი მანათიც ზედ მიჰმატებოდა ბარემ! „შურდ". რედ.

[13]) კარგი იქნებოდა-კი, ღვთის-წინაშე, რომ ნ. ჩხეიძის ყოველი ფეხის გადადგმა აღრიცხულიყო და სულ ოქროდ დაფასებულიყო თითოეული. იგივე

[14]) რასაკვირველია, კომიტეტმა ბანკში შეიტანა და იქ დააბინავა, დიდ-მარხვაში დასჭირდებათ არტისტებს და შემწეობას აღმოუჩენთ! იგივე.

[15]) იმე, იმე, იმე!! იგივე.

## „ივერიის“ ფოსტა

**ფოთი. ლადო ახობაძეს.** თქვენი წერილი დაიბეჭდება, მაგრამ არა მალე.

# დეპეშა

რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

10 მარტი.

**ტოკიო.** («რეიტერის სააგენტო»). ორივე პალატამ დაადგინა—მხურვალე მადლობა გამოეცხადოს ფლოტსა. ორივე პალატა თანახმა არის მთავრობის პროგრამა სამხედრო გარდასახადის შესახებ დაიცვას; შეიტანეს მხოლოდ ზოგიერთი ცვლილება, რომლის გამოც შემოსავალი გარდასახადების გადიდებისაგან შემოკლდება ერთ მილიონ გირვანქა სტერლინგით; ამასთან დაადგინეს, ომის გათავების შემდეგ მხოლოდ ერთი წლის განმავლობაში უნდა იხადონ მომატებული ხარჯები.

**ბლაგოვეშჩენსკი.** აქაური წითელის ჯვრის გამგეობა შეუდგა დამზადებას საავადმყოფოებისას 1,200 ავადმყოფთა და დაჭრილთათვის.

**პარიჟი.** ამბობენ, რუსეთის მისსია თვალყურს ადევნებს ჩინეთის ჯარებსა, რომელნიც მანჯურიის დასავლეთ საზღვარზე და აღმოსავლეთს მონგოლეთში არიან. ამ ჯარში სულ 20 ათასი კაცია. ამ თვალყურის დევნებას ის აზრი აქვს,—შეიძლება იმედი ვიქონიოთ, რომ ჯარები ნეიტრალიტეტს არ დაარღვევენო. მდინარე ლიაოხეზე ყინული დაიძრა. ძალიან მალე ელიან, რომ იაპონელნი ნიუ-ჩუანზე იერიშით მივლენო.

**ტოკიო.** («რეიტერის სააგენტო»). პარლამენტის წევრს აკიამას, გაზეთის გამომცემელს, რომელიც ენერგიულად ვბრძვის მთავრობას, ბრალსა სდებენ, რომ ის მოღალატეა და რუსეთთან მითქმა-მოთქმა აქვსო. საქმე პარლამენტის კომისიას გარდაეცა.

**ტოკიო.** («რეიტერის სააგენტო»). კორეის მთავრობამ გადასწყვიტა, იონამპოში თავისუფალი ვაჭრობა იყოს.

**სალონიკი.** ალბანიაში კიდევ ორი ბატალიონი წავიდა. მონასტირში სამმა ბატალიონმა მიიღო ბრძანება, რომ წასასვლელად მოემზადოს.

**კოპენჰაგენი.** ინგლისის მეფე დედოფალი 17 მარტს მოვლენ აქა.

**პარიჟი.** სისხლის სამართლის პალატამ დრეიფუსის საქმის გამო პირველ მოწმეს, გენერალ გონზას, ჩვენება ჩამოართვა.

**პორტ-მაგონი.** გერმანიის იმპერატორი მოვიდა აქ 10 საათზე და ხუთს საათზე წავიდა.

**სტამბოლი.** იპეკისა და პრიზრენის გუბერნატორებს შეატყობინეს, რომ პირუტყვ-საქონელზე ახლად შემოღებული გარდასახადი გაუქმდაო. ამ სახით უკმაყოფილო ალბანელთა თხოვნა დაკმაყოფილებულია. ლიუმაში გაჰგზავნეს მისაშველებელი ჯარი.

**ლიუტტახი.** დააპატიმრეს დამნაშავენი ანარქიულის ბოროტ-მოქმედებისა—ორი ფრანგი ანარქისტი.

**ბერლინი.** მდინარე კროსსთან მომხდარი არეულობა ინგლისის ტერიტორიაშიაც ვრცელდება.

**კოპენჰაგენი.** პეტერბურგელმა პროფესორმა მარტენსმა ის აზრი გამოსთქვა, რომ დანიამ უნდა ნეიტრალიტეტი გამოაცხადოსო. ბევრი სახელმწიფონი, და განსაკუთრებით რუსეთი, შეიკავშირებდნენ იმის ნეიტრალიტეტსაო. მაშინ დანიას საფუძველი ექნებოდა მიემართნა თავის მეგობრებისათვის, შემწეობა აღმოეჩინათ, თუ ვინმე იმის ნეიტრალობას შეხებოდა და დაარღვევდაო.

11 მარტი.

**პეტერბურგი.** უფროსი ცხენოსან-არტილერიის ბრიგადის მეორე დივიზიონისა დიდს მთავარს სერგეი მიხეილის ძეს ერთგული სამსახურისათვის ებოძა გენერალ-მაიორობა. — ალექსანდრეს დაჭრილთა კომიტეტის კანცელარიამ საყოველთაოდ გამოაცხადა, ყველა იმ ფულებს, რომელიც კანცელარიაში მოდის ომში დაჭრილთა და იმათ სახლობების საჭიროებათათვის საკუთარი ანგარიში აქვს. ფულები უმთავრეს ხაზინაში იგზავნება; სიას ყოველ დღე აცხადებენ. ამ შემოწირული ფულით იყიდიან სახელმწიფო სარგებლიან ქაღალდებს. თვით თანხა და სარგებელი დაიხარჯება დანიშნულებისამებრ მოხმარდება დაჭრილთა, იმათ დაობლებულს სახლობებს, ქვრივ-ობლებს, მშობლებს, ძმებს და დებს, უკეთუ ყველა ამათ ომში დაღუპულისაგან რაიმე შემწეობა ექნეოდათ. თუ ფულებს შემწირველებისა ან განსაკუთრებული დანიშნულება ექნებათ, დაიხარჯება ამ დანიშნულებისამებრ. — «მართებლობის მოამბეში» დაბეჭდილია უმაღლესი რესკრიპტი იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასულის სასახლის მინისტრის ბარონ ფრედერიკსის სახელზედ, რომლითაც მას ევალება თვალყური ადევნოს, თუ როგორ სრულდება ხელმწიფე იმპერატრიცას განკარგულებანი იმის შესახებ, რომ ჯარში მყოფთ გაუადვილდეთ მძიმე ცხოვრება, რაც შესაძლებელია საჭირო ნივთების მიწოდებითაო.

**ირკუტსკი.** გზათა მინისტრი თავადი ხილკოვი ლისტვენიჩნიდან პეტერბურგს 12 მარტს გაემგზავრებაო.

**ბერლინი.** როგორც ლონდონიდგან იუწყებიან, სეულ-იჩუს გზაზე სამი ათასი კაცი მუშაობსო. იაპონიაში მზად არის გასაგზავნად ასი მილის მანძილზედ დასაწყობი რელსები თავის მოწყობილობით; მასალა თუმცა ძველია, მაგრამ გამოსადეგია პენ-ანამდე ლიანდაგის დასაგებად. იაპონელები ცდილობენ 5 ათასს კორეელ ჯარის-კაცს იარაღი ახსნან.

**პრეტორია.** ერთი კაფრი მოკვდა ჭირით.

**პარიჟი.** მცოდნე კაცთაგან გაგონილისამებრ იუწყებიან, რომ მოლაპარაკება საფრანგეთსა და ინგლისს შორის, რათა მოწესრიგებულ იქმნას ჯერ გადაუწყვეტელი, ორსავე სახელმწიფოს შესახები საგნები ამ ჟამად უკვე თავდებაო. როგორც ხმა ისმის, გადაწყდა საქმე ნიუფაუნდლენდისა და აფრიკის დასავლეთის სამფლობელოსი. მოლაპარაკება მორიგებისათვის ეგვიპტისა და მაროკკოს შესახებ ჯერ კიდევ არ გათავებულა. საფრანგეთი თანხმაა ხელი აიღოს ზოგიერთს უფლებაზედ ეგვიპტეში, გარნა თხოულობს, რომ ინგლისმაც, თავის მხრივ უარი სთქვას მაროკოზე და ასე თუ ისე ხელი არ გაიწვდინოს ამ ქვეყანაზედ.

**ლონდონი.** საზოგადოებათა პალატა. ინდოეთის საქმეთა გამო სტატს-სეკრეტარი შეეკითხა ბროდრიკს და მან სთქვა პასუხად, რომ თიბეთის ექსპედიცია მალე წავა წინაო. ექსპედიცია უნდა მივიდეს გიანცემდე, რათა შეხვდეს ჩინეთის კომისარსაო.

დროებითი რედაქტორი **ბრ. ყიფშიძე.**
გამომცემელი **ა. სარაჯიშვილი.**

## პეტერბურგის ბირჟა

5 მარტი 1904 წ.

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. | 93,85 |
| ბერლინში 100 მარკაში | 45,85 |
| პარიჟში 100 ფრანკში | 37,35 |
| ლონდონში ჩეკები | 94,60 |
| ბერლინში „ | 46,30 |
| პარიჟში „ | 37,62½ |
| ბირჟის დისკონტი | 6—7½% |
| 4% სახელმწიფო რენტა | 93¾ წ. გაყ. |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. | — |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. სათავ. მამულო ბანკისა | 91¼ მყიდ. |
| 5% პირ. შინაგ. მომგ.-ბილ. 1864 წ. | 371 წვრ. ნის. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. | 310 ნის. გაყ. |
| 5% გირავნ. ფურც. სახელმ. სათავ.-მამ. ბანკისა | 270 ნის. გაყ |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. | — |
| 4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა | — |
| 4½% ტფილ. სათავ. ს. მ. ბანკის გირავნ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა | 87⅜ წვრ. გაყ. |
| 6% ქუთ. სათავ. მამ. ბანკის გირ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა | 87 წვრ. გაყ. |

## რკინის გზის მიმოსვლა.

15 ოკდომბრიდან 1903 წ.

(ნაჩვენებია ტფილისის საათით)

ა) ტფილისიდან მიდის:

**ბათომს:** 1) დილის 8 ს. 8 წ. 2) საღამოს 7 ს. 28 წ. 3) შუადღის 2 ს. 58 წ. (მხოლოდ ბორჯომამდე).

**ბაქოს:** 11) შუადღი ს. 8 წ. 2) საღამოს 10 ს. 28 წ. 3) დილის 7 ს. 34 წ. 4) საღამოს 5 ს. 28 წ. (**მოსკოვს** მიმავალი, მხოლოდ სამშაბათობით)·

**ყარს-ერევანს:** 1) შუადღის 1 ს. 28 წ. 2. საღამოს 11 ს. 13 წ.

ბ) ბათომიდან გამოდის:

**ტფილის-ბაქოსაკენ:** 1) დილის 9 ს. 32 2) ღამის 12 ს. 8 წ.

გ) ბაქოდან:

**ტფილის ბათომისაკენ:** 1) შუადღის 1 ს. 58 წ. 2) ღამის 11 ს. 28 წ. 3) დილის 4 ს. 48 წ. (მხოლოდ პარასკევობით); დილის 4 ს 4) 48 წ.

დ) ქუთაისიდან:

**ბათომისაკენ:** 1) შუადღის 3 ს. 18 წ. 2) ღამის 1 ს. 58 წ.

**ტფილის-ბაქოსაკენ:** ღამის 3 ს. 58 3 წ

ე) შორაპნიდან:

**ჭიათურა-დარკვეთისაკენ:** 1) დილის 6 ს. 58 წ. 2) საღამოს 5 ს. 58 წ.

ვ) დარკვეთიდან:

**შორაპნისაკენ:** 1) დილის 11 ს. 43 წ. 2) ღამის 10 ს. 8 წ.

# განცხადებანი


ქ უ თ ა ი ს შ ი

ს. ბ. თოფურიას

**სამკურნალოში,**

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ, 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიული გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდები სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ფასი დღე-ღამეში ჭამა სმისა და მკურნალობისათვის 1 მანათიდან 3 მანეთამდე.

ერიდეთ! არ მოსტყუვდეთ!

**ჰიგიენური**

ბორნო-ტიმოლის საპონი

პროვიზორის

**გ. ფ. იურგენსისა.**

აქრობს ჭორფლს, ნასიცხს,—ყვითელ ლაქებს და სპობს ოფლს. ვურჩევთ ყველას, როგორც კეთილ-სუნნელოვანი და მაღალის ხარისხისა, ეს საპონი იხმარონ.

ოქროს მედალი. ლონდონი 1893 წ.

**ფასი თითო ნაჭერისა** 50 კ. ½ ნაჭერი 30 კაპ.

ისყიდება რუსეთის ყველა საუკეთესო სააფთიაქო მაღაზიებსა და აფთიაქებში. უმთავრესი საწყობი გ. ფ. იურგენსთან, **მოსკოვში.** (24—9)

ხალი გამოცემა «წერა-კითხვის საზოგადოებისა»

**გულივერის მოგზაურობა**

სვიფტისა, მრავალის სურათით. 16[?] გვ. ფასი 30 კაპ.




გამოვიდა და ისყიდება ყველგან „ქართველთა შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

# ქაჯანა

2.

# ალი

მოთხრობა მისივე, ფასი 10 კაპ.

წიგნების გამოწერა შეიძლება ცალ-ცალკე დებითაც შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Общество распрстр. грамотности.

| За годъ съ пересылкой **6 р.** | ОТКРЫТА на 1904 г. ПОДПИСКА на еженедѣльн. иллюстриров. журналъ и газету „РОДИНА“ (26-й годъ издан.) | РАЗСРОЧКА допускается при подпискѣ **2 р.** |
|---|---|---|

Каждый подписчикъ получитъ въ теченіе года:

**52** №№ иллюстрир. литер. ЖУРНАЛА **52** №№ полит. и обществ. ГАЗЕТЫ **52** № иллюстр. „Всемірное Обозрѣніе“ **52** № иллюстрир. „РАЗВЛЕЧЕН. въ часы отд.“.

**36 КНИГЪ** а именно: 1) 12 книгъ РОМАНОВЪ и повѣстей, 2) 5 книгъ иллюстрир. издан. „ПОКОРЕННЫЙ КАВКАЗЪ“, 3) 5 книгъ иллюстр. изд. „ПОДЪ щитомъ СЕВАСТОПОЛЯ“, 4) 12 книгъ иллюстрир. сочин. „НОВѢЙШАЯ ИСТОРІЯ“, и, кромѣ того,

**2** иллюстрированныхъ изданія „РЫЦАРИ КРУГЛАГО СТОЛА“ четыре поэмы ТЕННИСОНА съ рис. Дорэ, Райда и друг. и 2) изданіе, перед. содерж. 27 произв. Шекспира, съ 36 рис. п. назв. „ГЕРОИ ШЕКСПИРА“

**100 БЕЗПЛАТН. ПРИЛОЖЕНІЙ** 12 № „Другъ дѣтей“, 12 № „Сельское Хозяйство“, 12 № „Домашній театръ“, 12 № МОДНАГО журнала, 12 № лист. выкроекъ, 12 № лист. рисунковъ для любительск. раб., 12 № лист. узоровъ въ краск., 12 № нотъ. ОТРЫВНОЙ КАЛЕНДАРЬ на 12 мѣсяц. 1904 г. и КАЛЕНДАРЬ-справочникъ.

Прилож. 99-е) большая ОЛЕОГРАФІЯ **ВОЗЗВАНІЕ МИНИНА** къ нижегородцамъ, 100) ГРАВЮРА напеч. въ тон. **„МАСЛЯНИЦА“**

Подробная программа безплатно. — „РОДИНА“, С.-Петербургъ, Лиговская, д. 114.

მ ს წ რ ა ფ ლ მ ბ ე ჭ დ ა ვ ი

# სტამბა

**ექვთიმე ივ. ხელაძისა,**

რომელიც იმყოფება რუსის ბაზარში, (იარმუკაში) სომხის სასულიერო სემინარიის სახლებში;

იღებს ყველა-ნაირ საბეჭდავ საქმეებს, როგორც რუსულს და ქართულს, აგრეთვე ყველა უცხო ენებზედაც.

სტამბას აქვს დამზადებული საფაბრიკო ინსპექციისაგან ახალი შემოღებული ყველა დავთრები და წიგნაკები, აგრეთვე პოლიციის და სამსაჯულო ბოქაულების დავთრები.

ფასი ყველასთვის ხელმისაწდომია.


Дозволено цензурою Тифлисъ 11 мартъ 1904 г. Тип. Е. И. Хеладзе. Рус. базаръ арм. домъ, семинаріи.